

14.06.2019

ქ. თბილისი

სააპელაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;
ზაზა რუხაძე - შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი;
სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ირაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ეკა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;
თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
თამარ ბაღდავაძე - შპს "ლენდ მარკ პროჯექტის" არქიტექტორი; ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის ხელოვნების ლექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელი:

სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

1. ერსან ბოჯუთოღლუ - შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი;
2. მაია ყრუაშვილი - თარჯიმანი;
3. სოფიო სიხარულიძე - თარჯიმანი;

სხვა დამსწრე პირები:

მარიამ დარბაიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:15 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ გასიაშვილმა, რადგან საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ პაპუკაშვილი არ იმყოფებოდა სხდომაზე დაწესებულებასთან თვითაცილების გამო. სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ეკატერინე ლეფსვერიძეს.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 26⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო საჩივრის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შუამდგომლობა ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არცერთ მხარეს არ ჰქონია. ასევე, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ მათ თვითაცილება დაწესებულებასთან. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება დაწესებულებასთან.

1. შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.


საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს პოზიციის წარმოსადგენად.

დაწესებულების რექტორმა, ერსან ბოჯუთოღლუმ განაცხადა, რომ საბჭოს ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორის სტატუსით. რექტორმა განმარტა, რომ რადგან საბჭოს წევრები იცნობდნენ საჩივრის შინაარსს, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე დეტალზე შეაჩერებდა მათ ყურადღებას. მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების, კულტურის, მეცნიერების და სპორტის სამინისტრო იძლეოდა საშუალებას, რომ ახალმა დაწესებულებებმა გაირონ ავტორიზაცია. ავტორიზაციის მიღების რამდენიმე ფორმა არსებობდა, რომელიც ანიჭებდა უფლებამოსილებას დაწესებულებას იფუნქციონიროს. მისი განმარტებით გადაწყვეტილების პირველი ფორმა იყო, როდესაც ენიჭება დაწესებულებას ავტორიზაცია. მეორე ვარიანტია, როდესაც აქვს უფლება უნივერსიტეტს მიიღოს სტუდენტი, ერთი წლის შემდეგ კი უწევს ანგარიშის წარმოდგენა. მესამე ვარიანტია, როდესაც ავტორიზაციის მინიჭებიდან სამი წლის თავზე ტარდება დაწესებულებაში მონიტორინგი. რექტორის თქმით, მეოთხე ვარიანტია, როდესაც ეძლევა დაწესებულებას ავტორიზაცია სტუდენტების ჩარიცხვის შეზღუდვით, ხოლო მეხუთე ვარიანტია, როდესაც დაწესებულებას არ ენიჭება ავტორიზაცია. დაწესებულების რექტორის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც იმყოფებოდა დაწესებულებაში, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო ნაკლებად კვალიფიციური და შედარებით სუსტი პერსონალი. მისი თქმით, ვიზიტის დროს მათ ექსპერტებს დაუმტკიცეს, რომ მათი პერსონალი იყო საქმის მცოდნე და პროფესიონალი, თუმცა რექტორმა აღიარა, რომ რამდენიმე პერსონალთან მიმართებით გამოიკვეთა ინგლისური ენის არცოდნის საკითხი.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულება შეაფასა 7 სტანდარტის და 19 ქვესტანდარტის მიხედვით. ამ 7 სტანდარტის შეფასებისას ექსპერტების რეკომენდაციების 68% ეხებოდა დოკუმენტაციას, 21% ეხებოდა შენობას და ინფრასტრუქტურას, ხოლო 11% კი ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. რექტორის აზრით, დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა რეკომენდაციების იმ 68%-ს, რომელიც შეეხებოდა დოკუმენტაციას, ასევე, აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რომელიც ეხებოდა მატერიალურ რესურსებს. მისი თქმით, ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ ამ ორ კომპონენტს.

დაწესებულების რექტორმა დააფიქსირა სურვილი, რომ შექმნილიყო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ხელახლა ნახავდა და შეაფასებდა უნივერსიტეტს. რაც შეეხება ვიზიტის ხარჯებს, მისი თქმით, უნივერსიტეტი სრულად დაფარავდა ამ ხარჯებს. სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ გასიტაშვილმა განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არც სააპელაციო საბჭოს და არც ავტორიზაციის საბჭოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, რომ



შედეგინა ახალი ექსპერტთა ჯგუფი და ხელახლა განხორციელებულიყო დაწესებულების პირობების შეფასება.


აღნიშნულის პასუხად კი, რექტორმა განმარტა, რომ ის აცნობიერებდა, რომ დაწესებულებაში ნამდვილად იყო სისუსტეები აკადემიური პერსონალის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტი ეხებოდა აკადემიურ პერსონალს, სადაც იყო ორი ქვესტანდარტი, აქედან ერთი შეფასებული იყო, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია“, ხოლო მეორე შეფასებულია, როგორც - „არ არის შესაბამისობაში“. ამ ორი ქვესტანდარტის შედეგად ზოგადი შეფასება გამოვიდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში“, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი ის ძირითადი მიზეზი, რომ დაწესებულებას არ მიენიჭა ავტორიზაცია. რექტორის თქმით, მისი მოთხოვნა იყო, რომ დაწესებულებას მისცემოდა ავტორიზაცია, უბრალოდ სტუდენტების მიღების უფლების შეზღუდვით.

რექტორის თქმით, ისინი გაეცნენ სხვა დაწესებულებების დასკვნებს, მაგალითისთვის რექტორმა აღნიშნა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შემთხვევა, როდესაც მე-6 სტანდარტის კომპონენტებიდან ორი ქვესტანდარტი შეფასებულია, როგორც „სრული შესაბამისობა“ და ერთი კომპონენტი შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში“. ორ დადებით შეფასებას ჰქონდა ისეთი ძალა, რომ გადაეწონა უარყოფითი შეფასება და საბოლოოდ გამოვიდა დადებითი შეფასება. რექტორის აზრით, არათანაბარი მიდგომით იყვნენ შეფასებული უნივერსიტეტები. მისი თქმით, მათი უნივერსიტეტის შემთხვევაში ასე ხდებოდა, რომ ორი დადებითი და ერთი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში საბოლოოდ შეფასება დადგა უარყოფითი, ზემოაღნიშნული სასწავლებლის შეფასებისას კი პირიქით მოხდა. საბჭოს წევრმა თინათინ კაიშაურმა მიმართა რექტორს, რომ დაწესებულებების ერთმანეთთან შედარება არ იყო რელევანტური, ეს საკითხი არ იყო სააპელაციო საბჭოს განსახილველი, თუ როგორ შეფასდა სხვა ინსტიტუცია.

საბჭოს წევრმა თინათინ კაიშაურმა მიმართა რექტორს თხოვნით, რომ კონკრეტულად განსახილველ საკითხზე ესაუბრა. საბჭოს თხოვნით განმარტება გააკეთა საბჭოზე დამსწრე პირმა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტმა სოფიო ვასაძემ და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ჰქონდა უფლება კონკრეტული სტანდარტის შეფასება შეეცვალა, შედეგად კი შესაძლოა შეფასება აიწიოს ან დაიწიოს.

სააპელაციო საბჭოს წევრმა გრიგოლ ტატიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს უფლება წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია და არგუმენტები, ასევე, საბჭოს აქვს უფლება გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს მათი არგუმენტები. მისი აზრით, აღნიშნულ საკითხზე დისკუსია იყო ამოწურულია, რადგან ეს არ იყო დღეს განსახილველი მთავარი საკითხი. რექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ მან შეისწავლა ავტორიზაციის ექსპერტთა სხვა დასკვნები და ამაზე დაფუძნებით ამბობდა, რომ განსხვავდებოდა შეფასებები სხვადასხვა სტანდარტის მიხედვით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შემთხვევა სრულიად განსხვავებული იყო და ეს შედარება, რომელზეც ამჟამად რექტორი საუბრობდა



ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზეც ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი. მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ სტანდარტთან მიმართებით აპელანტ დაწესებულებას ჰქონდა ხარვეზები. მან განმარტა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტებს ჰქონდათ დადებითი შეფასება და ავტორიზაციის საბჭომ გადმოიტანა შეფასება უარყოფითისკენ. ასევე, დაწესებულებაში ორგანიზაციული მართვის კუთხით ფიქსირდებოდა ხარვეზები, რადგან პერსონალის 80%-მა არ იცოდა ინგლისური ენა, ხოლო უნივერსიტეტი გეგმავდა განხორციელებინა სასწავლო პროცესი ინგლისურად. მარიამ დარბაიძის თქმით, თვითონ უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღიარებდნენ საბჭოს სხდომაზე, რომ პერსონალს ინგლისური ენის ცოდნის კუთხით სერიოზული პრობლემები ჰქონდათ.

მარიამ დარბაიძის თქმით, ასევე, დაწესებულების მხრიდან გაჟღერებული იყო საბჭოს სხდომაზე, რომ ისინი გადაამზადდებდნენ პერსონალს ინგლისურში. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ არსებული პრობლემები შესახებ მათ სვოტ ანალიზშიც ჰქონდათ მითითებული. საბჭოს წევრმა, გიორგი სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ის პატივს სცემდა ყველა ადამიანს, რომელიც საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობდა და კითხვით მიმართა რექტორს, თუ როგორ აპირებდა ის მოეგვარებინა დაწესებულებაში არსებული პრობლემა ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით. რექტორმა განმარტა კიდევ ერთხელ, რომ მისი მოთხოვნა იყო მინიჭებოდა უნივერსიტეტს ავტორიზაცია სტუდენტების შეზღუდვით და ამის შემდგომ მოხდებოდა პრობლემების მოგვარება. საბჭოს წევრმა, გრიგოლ ტატიშვილმა განმარტა, რომ ეს საკითხი სრულიად სცილდებოდა სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილებასა და ფუნქციებს. რექტორის აზრით, მას სურდა უნივერსიტეტის გახსნა, რომელიც დააკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

რექტორმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სააპელაციო საბჭო დაუბრუნებდა განსახილველად საკითხს ავტორიზაციის საბჭოს, ის მადლობელი იქნებოდა, თუმცა სააპელაციო საბჭოს სხვა გადაწყვეტილებასაც პატივს სცემდა. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით შეეძლო ხელახალი საავტორიზაციო განაცხადით მიემართა ცენტრისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ დაუსვათ კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა რექტორს თხოვნით, კომენტარი გაეკეთებინა მისიასთან დაკავშირებით, კერძოდ მისიის მოცულობასთან დაკავშირებით, ასევე, დასკვნაში აღნიშნული იყოს პრობლემატურ საკითხად მისიის მკაფიოობის საკითხი. რექტორმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ რეკომენდაციები იყო გაცემული, რომ მისია ყოფილიყო მკაფიო, მოკლე და კონკრეტული, სწორედ ამიტომ შემოკლდა მისია. რექტორმა აღნიშნა, რომ მისიის შემოკლება პრობლემას არ წარმოადგენს მათთვის, რაზეც საბჭოს წევრმა, ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ მისიის შემოკლება არ წარმოადგენს პრობლემას, უფრო მნიშვნელოვანია რამდენად გამართულია მისია, რამდენად გამოხატავს ის დაწესებულების არსს და დაწესებულების ძირითად მახასიათებელ ნიშნებს. საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ გაამახვილა ყურადღება ექსპერტების დასკვნაში მითითებულ ჩანაწერზე, რომ მისია უნდა გასწორდეს და რომ ის ნათელი არ არის. შესაბამისად, თუკი მისიის შესწორება და სტუდენტების მიღების პერიოდი ახლოს არის ერთმანეთთან დროის მხრივ, ეს ლოგიკურად ნიშნავს, რომ დაწესებულება არ არის მზად მიიღოს სტუდენტები. ზაზა რუხაძემ აღნიშნა, რომ

მისი აზრით, ავტორიზაციის საბჭოს შეფასება რიგ საკითხებთან დაკავშირებით იყო შედარებით ლმობიერი. რექტორი არ დაეთანხმა საბჭოს წევრებს და გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი აზრით უნივერსიტეტის მისია არ იყო სუსტი. საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ დააკონკრეტა კიდევ ერთხელ, რომ დაწესებულების მისია არ იყო გაცხადებული მკაფიოდ და არ იყო ნათელი, რაც ასევე დასკვნაშიც იყო ასახული. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ მისიაში არ ჩანდა უნივერსიტეტის ნიშა, რატომ და ვისთვის იხსენებოდა უნივერსიტეტი. ასევე, ორგანიზაციული სტრუქტურა იყო გაუმართავი სრულიად. მან დამატებით აღნიშნა, რომ პერსონალი იყო არაკვალიფიციური და ვერ საუბრობდა ინგლისურად, იყო შეუსაბამობა ნორმატიულ აქტებსა და კანონმდებლობას შორის, მოუწესრიგებელი იყო დოკუმენტაცია, შენობა არ იყო აღჭურვილი საინჟინრო-სამშენებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, ლაბორატორიით. ამგვარი სიტუაციით კი ვერცერთი პროგრამა ვერ გავიდოდა შედეგზე. მარიამ დარბაიძემ ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარეობისას მან მიმართა საბჭოს სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ განცდა, რომ რაიმე საკითხი იყო განუხილველი, რაზეც მიიღო პასუხად, რომ ყველა საკითხის განხილვა ამოწურული იყო.

სააპელაციო საბჭოს წევრმა გრიგოლ ტატიშვილმა მიმართა რექტორს, თუ რამდენი პროგრამის განხორციელებას გეგმავდა პერსპექტივაში დაწესებულება. რექტორმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ჰქონდათ სურვილი განეხორციელებინათ ინჟინერიის და სამშენებლო მიმართულებით პროგრამები, შემდგომ კი სამართლის. გრიგოლ ტატიშვილის აზრით, მისთვის არ არსებობდა მყარი საფუძველი, თუ რატომ უნდა გახსნილიყო ეს კონკრეტული უნივერსიტეტი. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი დაწესებულება განახორციელებდა აღნიშნულ პროგრამებს ერთობლივად რომელიმე ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად. რექტორის თქმით, ის არ აპირებდა კონკურენცია გაეწია საქართველოში არსებული დაწესებულებებისთვის. მან დასძინა, რომ სამშენებლო სფერო იყო მოთხოვნადი ბაზარზე.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ ასევე, ჰკითხა რექტორს, თუ რას ნიშნავდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დარაიონების სასწავლო კურსი. საბჭოს წევრმა გიორგი სალუქვაძემ განმარტა, რომ დარაიონება სავარაუდოდ ნიშნავდა ურბანულ დაგეგმარებას, განსახლებას. ასევე, ზაზა რუხაძეს ჰქონდა დამატებითი შეკითხვა, თუ როგორ აპირებდა უნივერსიტეტი განეხორციელებინა სამართლის პროგრამა ინგლისურ ენაზე, რომელიც იყო რეგულირებადი, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ ის პროგრამები, რომელიც საავტორიზაციოდ ჰქონდა დაწესებულებას წარმოდგენილი არ იყო სრულყოფილად გამართული და კანონმდებლობასთან შესაბამისი, შესაბამისად, არ არსებობს მზაობა უნივერსიტეტში ამ პროგრამების განსახორციელებლად. ამასთან, ზაზა რუხაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების რექტორს, თუ საიდან უნდა მომხდარიყო უნივერსიტეტის კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტება და რა იყო უნივერსიტეტის ხედვა სამართლის პროგრამის მიმართულებით. რექტორს არ ჰქონია კონკრეტული პასუხი აღნიშნულ კითხვაზე, მან დასძინა, რომ სწავლა იყო მუდმივი პროცესი და ისევე როგორც სტუდენტი, პერსონალიც მუდმივად სწავლის პროცესში იყო.

რექტორის აღნიშნულ მოსაზრებაზე ზაზა რუხაძის პასუხი იყო, რომ დაწესებულებამ უნდა შექმნას ძლიერი საფუძველი სწავლისათვის, პერსონალმა კარგად უნდა იცოდეს თავისი საქმე

და პროცესში არ უნდა სწავლობდეს. საბჭოს წევრი, გიორგი სალუქვაძე დაინტერესდა სწავლის გადასახადის ოდენობით. რექტორის თქმით, სწავლის საფასურის განრიგი იქნებოდა განსხვავებული ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ საბჭოზე აღნიშნა, რომ რეალურად დაწესებულებას ჰქონდა მნიშვნელოვანი პრობლემები ბიუჯეტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტი გულისხმობდა დაწესებულებაში მისიის და სტრატეგიული გეგმის არსებობას. სტრატეგიული გეგმის ნაწილი კი თავისთავად გულისხმობდა ბიუჯეტის არსებობას, სადაც სრულყოფილად უნდა იყოს ასახული სად არის უნივერსიტეტი და რა სამიზნე ნიშნულები აქვს მას როგორც ორგანიზაციას წლების შემდეგ. ასევე, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა პრობლემები მესამე სტანდარტთან მიმართებით, რაც გულისხმობდა იმას, რომ უნივერსიტეტს არ აქვს რელევანტური წიგნადი ფონდი, ტექნიკური ბაზა, კომპიუტერები, ლაბორატორიები, რათა განახორციელოს აღნიშნული პროგრამები. დამატებით მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ავტორიზაციის პროცესში მესამე სტანდარტის შეფასებისას არ ხდება ხელმძღვანელობა აკრედიტაციის სტანდარტებით, რეალურად ავტორიზაცია აფასებს თუ რამდენად მზადაა დაწესებულება, რომ იფუნქციონიროს და სწავლის შედეგებზე გავიდეს. რექტორმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მან იცოდა უნივერსიტეტის პრობლემები პერსონალის მიმართულებით. მან დასძინა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუკი მესამე სტანდარტი არ შეფასდებოდა აკრედიტაციის სტანდარტებით. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე მარიამ დარბაიძე. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ საკითხს, რომ დაწესებულება არ იყო მზად არსებული მატერიალური, წიგნადი, ტექნიკური და აკადემიური რესურსებით გასულიყო პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებზე. მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო მე-3 სტანდარტის შეფასებისას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ არ მოხდეს აკრედიტაციის სტანდარტებში გადასვლა. ამიტომ, დაწესებულების პროგრამები შეფასდა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ იკითხა, თუ რატომ გაუჩნდათ განცდა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ისინი შეფასდნენ აკრედიტაციის სტანდარტებით და არა ავტორიზაციის მე-3 სტანდარტით. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა თხოვნით რექტორს, დაესახელებინა ერთი სტანდარტი მაინც, მოეყვანა მაგალითი, როდესაც ავტორიზაციის საბჭომ რომელიმე სტანდარტი განიხილა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. დამატებით მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაცია არის ინსტიტუციური შეფასება, როდესაც დაწესებულება ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს მზაობა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო აკრედიტაცია აფასებს უშუალოდ პროგრამას. რექტორმა კვლავ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ზოგადად მათი დაწესებულების შეფასებები განსხვავდებოდა სხვა დაწესებულებების შეფასებებისგან. საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ დამატებით აღნიშნა, რომ თითოეული უნივერსიტეტის შეფასება იყო ინდივიდუალური, შეფასებები და ის გარემოებები, რომელთა დაყრდნობითაც ფასდებოდნენ დაწესებულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და დაწესებულებების ერთმანეთთან შედარება არ იყო რეკომენდებული. ასევე, მან დასძინა, რომ არცერთი დოკუმენტიდან არ იკვეთებოდა ის ფაქტი, რომ დაწესებულება შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტით. რექტორმა განაცხადა, რომ ის მადლობას უხდოდა სააპელაციო საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეს და პატივს სცემდა მათ ნებისმიერ გადაწყვეტილებას.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:05 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეამოწმა კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. საბჭომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ერთხმად მიიჩნია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და საბჭოს სხდომაზე გამოვლენილ გარემოებებს. ავტორიზაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებები ავტორიზაციის მე-3 და მე-4 სტანდარტებთან მიმართებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის №15-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁷-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს ავრასია ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის №15-ე გადაწყვეტილება. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:30 საათზე.

თავმჯდომარე

ზურაბ გასიტაშვილი



მდივანი

ეკა ლეფსვერიძე

